სახელმწიფო სერვისების
განვითარების სააგენტო

# საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვის მიზნით საკონკურსო კომისიის სხდომის

## ო ქ მ ი № 2

ქ. თბილისი 19 აპრლი, 2013 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე: ნინო ინწკირველი

საკონკურსო კომისიის წევრები: მამუკა სამხარაძე, ზვიად ნადირაძე, მალხაზ ტაბლიაშვილი.

საკონკურსო კომისიის აპარატის წევრბი: გიორგი მესხი

**დღის წესრიგი:** ქ. თბილისში, არქივის შენობის განსათავსებლად საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვის მიზნით, კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებ–გვერდზე 2013 წლის 27 მარტს გამოცხადებულ #710 კონკურსში კონკურსანტების მერ წარმოდგენილი წინადადების გახსნა და ფასების გამოცხადება.

**მოისმინეს:** საკონკურსო კომისიის წევრის, მალხაზ ტაბლიაშვილის გამოსვლა, რომელმაც საკონკურსო კომისიას მოახსენა, რომ საკონკურსო დოკუმენტაციით განსაზღვრულ ვადაში წინადადება დალუქული კონვერტის სახით წარმოადგინა ორმა კონკურსანტმა: შპს „ოპტიმუსმა“ და შპს „ტოპ დიზაინმა“ . მალხაზ ტაბლიაშვილმა დალუქული კონვერტები გახსნა და წინადადებაში დაფიქსირებული ფასები გამოაცხადა:

1) შპს „ოპტიმუსი“ - 20 000,00 (ოცი ათასი) ლარი;
2) შპს „ტოპ დიზაინი“ – 20 725,00 (ოცი ათას შვიდასოცდახუთი) ლარი.

სატენდერო კომისიის წევრმა მალხაზ ტაბლიაშვილმა კომისიის წევრებს შეახსენა შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება 21000,00 (ოცდაერთი ათასი) ლარი.

საკონკურსო კომისიისა და საკონკურსო კომისიის აპარატის წევრებმა წერილობით დაადასტურეს ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის შესახებ.

საკონკურსო კომისიამ დაადგინა:

1. შპს „ოპტიმუსი"–ს და შპს „ტოპ დიზაინი"–ს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადების განხილვის მიზნით, საკონკურსო კომისიის სხდომა განახლდეს 2013 წლის 24 აპრილს.

2. უზრუნველყოს კომისიის აპარატმა კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი წინადადებების და წინამდებარე ოქმის დაუყოვნებლივ გაგზავნა, კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებ–გვერდზე www.procurement.gov.ge გამოსაქვეყნებლად consert@procurement.gov.ge ელექტრონული ფოსტის საშუალებით.

კომისიის თავმჯდომარე: /ნინო ინწკირველი/

კომისიის წევრი: /მამუკა სამხარაძე/

კომისიის წევრი: /ზვიად ნადირაძე/

კომისიის წევრი: /მალხაზ ტაბლიაშვილი/

შენიშვნა: საკონკურსო კომისიის წევრი ოლეგ დოლიძე და საკონკურსო კომისიის აპარატის წევრი ლაშა ბოკუჩავა, არ ესწრებოდა საკონკურსო კომისიის სხდომას შვებულებაში ყოფნის გამო.

# ხ ე ლ წ ე რ ი ლ ი

## ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. თბილისი 19 აპრილი, 2013 წელი

საკონკურსო კომისიისა და საკონკურსო კომისიის აპარატის წევრები ვადასტურებთ, რომ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ #710 კონკურსის საშუალებით ქ. თბილისში, არქივის შენობის განსათავსებლად საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვის განხორციელებაში, ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს და კონკურსში მონაწილეობით ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

კომისიის თავმჯდომარე: /ნინო ინწკირველი/

კომისიის წევრი: /მამუკა სამხარაძე/

კომისიის წევრი: /ზვიად ნადირაძე/

კომისიის წევრი: /მალხაზ ტაბლიაშვილი/

კომისიის აპატარის წევრი: /გიორგი მესხი/